თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-4936-20
06 / 02 20 20

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი მიმდინარე წლის 23 იანვრის №6/3753 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.22.003.032) გაზსადენების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ უშუალოდ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე შპს „თბილისი ენერჯის" გაზსადენები არ გადის, მაგრამ ნაკვეთის წითელი ხაზების სიახლოვეს განთავსებულია მოქმედი D=70 მმ-იანი მიწისზედა მილსადენი.

აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, მომავალმა მესაკუთრემ არსებულ გაზსადენთან მიმართებაში უნდა დაიცვას ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შესათანხმებლად უნდა წარმოგვიდგინოს ასაშენებელი ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გენგეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი მოთხოვნები.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: 1 ფურცელი - სქემატური ნახაზი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

სსიპ "საჯარო სამართლის იურიდიული პირი"
ადმინისტრ. № 15212104
"12" 02 2020 წ.
ფურცელი

492000
1:200
D= 150
D=70
01.19.22.003.032
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში
არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში
არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი 01.19.22.003.032
492000
თბილისი
ენერჯი
TBILISI
ENERGY